№ 53. 12 მარტი, ხუთშაბათი. 1866 — 1881 12 მარტი, ხუთშაბათი. № 53.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებისა“-„ივერიის“ რედაქცია-ში, ქუთაისში: „დროებისა-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიას-თან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., [illegible] მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხელნაწერი მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

## ვეფხის ტყაოსანი.

(შეიქმნა სხდომა რედაქციისა, 6 მარტ.)

ცალკე ნომრები

## „დროებისა“

თფილისში ისყიდება: შაეერდოვის გაზეთის სააგენტოში, აზნაუროვის თამბაქოს მაღაზიაში და თვითონ რედაქციაში (პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში).

ქუთაისში ივ. ნიკოლაძის და შვილების მოდის მაღაზიაში და ზერარდის წიგნის მაღაზიაში.

ამას გარდა ფოთი-თფილისის რკინის გზის ვაგონებში კონდუქტორებთან.

## ტელეგრამმები

სახლთა შორის ტელეგრ. სააგენტოსი

**პეტერბურღი, 10 მარტს.** პეტერბურღის გრადონაჩალნიკად დანიშნულია კოვენის გუბერნატორი ბარანოვი.

პეტერბურღის უნივერსიტეტის სტუდენტებმა სთხოვეს რექტორს გაათავისუფლოს ისინი ზოგიერთ პოლიტიკურის მხრით შენიშნულ ამხანაგებისაგან.

ბევრი გლეხ-კაცობა მოდის პეტერბურღში იმ განზრახვით, რომ თავანი სცენ მეფეს—განმათავისუფლებელს.

რისაკოვისა და იმის თანა-მონაწილე ამხანაგების საქმის გარჩევა დანიშნულია 20 მარტისათვის.

მუდამ იჭერენ ისეთს პირებს, რომელთაც ხელმწიფის მოკვლაში მონაწილეობა მიუღიათ და საზოგადოთ პოლიტიკურის მხრით საიმედო პირებათ არ ითვლებიან.

**პეტერბურღის ბირჟა, 10 მარტს.**

(„სახლთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — — | 95 | 75 |
| მეორესი — — — — — | 92 | 62 |
| მესამესი — — — — — | 93 | 50 |
| მეოთხესი — — — — | 91 | 75 |
| აღმოსავლეთის პირვ. — — | 91 | 75 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 91 | 87 |
| აღმოსავლეთის მესამე — | 91 | 75 |
| ოქრო, ½ იმპერიალი -- | 7 | 98 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | „ | —„ |

| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 221 | 75 |
| მეორე სესხის — — — | 214 | „ |

| 1 მანეთი ღირს: | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 24 | 62 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 211 | „ | ცენტი |
| პარიჟი — — — | 261 | 25 | სანტიმი |
| ვენა — — — | 129 | 50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | | |

---

## იმპერატორის მოკვლის ამბავი.

**პეტერბურღი, 1 მარტს.** („დროების“ კორრესპონდენცია). მოჰკლეს... ხუთჯერ გადარჩა სიკვდილს და დღეს მეექვსე-ჯერ აუსრულდათ თავის წადილი იმ პირთ, რომლებიც თითქო სანადიროთ დადიოდნენ ხელმწიფე-იმპერატორზე. საშინელი ამბავი, საკვირველი მოვლენა მთელ კაცობრიობის ისტორიაში!

დღეს მესამე საათის დასაწყისში გავარდა ხმა, რომ იმპერატორი დასჭრეს და წაიყვანეს სასახლეში თითქმის მკვდარიო. ძნელად დასაჯერებელი იყო ამ გვარი ამბავი. მაგრამ ორი საათის შემდეგ ყველაფერი ნამდვილათ გავიგეთ:

როდესაც იმპერატორი კარეტით მიბძანდებოდა სასახლეში, გზაზედ ეკატერინეს არხის ნაპირზე ვიღაცამ ყუმბარა გადაისროლა კარეტისაკენ. მოისმა საშინელი ხმა ყუმბარის აფეთქებისაგან. კარეტა შუაზე გაირღვა და შეჩერდა. ხელმწიფე გამობძანდა იმ წამსვე კარეტიდამ და პირ-ჯვარი გადისახა. იმის მხლებელს პოლკოვნიკ დვორჟიცკის მოხვდა ყუმბარის ნამტვრევი და იქვე წააქცია. სამი მხლებელი ცხენოსნები დასჭრა. ერთი ყმაწვილი ვიღაც იქვე მოკლა.

ყუმბარის მსროლელს იმ წამსვე სტაცეს ხელი და დაუწყეს ცემა ვიღაც მხედრებმა...

გაიარა რამოდენიმე წამმა... იმპერატორი ყუმბარის მსროლელისაკენ იცქირება. უცრად მეორე მხრიდამ შემოუარა მეორე მკვლელმა და დაუხეთქა წინ ყუმბარა... გაისმა კიდევ საშინელი ფეთქა... იმპერატორი გადავარდა გულ-აღმა და დაასკდა მიწას... ორივე ფეხები წააგლიჯა საფეთქებელ წამლებმა. ერთი ფეხი სულ მოსცილდა ტანს და ცალი კი თითქმის ძაფებით მიკიდებულს დაემგზავსა... ორი მხლებელი იქვე მოჰკლა, რამდენიმე დასჭრა... მეორე მსროლელი გაჰქრა .. ამ დროს მოვიდნენ დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე და მემკვიდრე. იმპერატორი დაასვენეს მარხილზე და წაიღეს სასახლეში...

ერთი საათის შემდეგ მთელი პეტერბურღი მოიფინა ამ ამბით. ხალხი მიაწყდა სასახლეს. ყველას უნდოდა შეეტყო იმპერატორის მდგომარეობა. კიდევ ერთი საათის შემდეგ, სასახლიდამ გამოვიდა ვიღაც მოხუცებული და გამოაცხადა რომ ხელმწიფე იმპერატორი ღმერთმა მიიბარაო.

სამი საათის შემდეგ მემკვიდრე რუსეთის ტახტისა და ეხლა იმპერატორი ალექსანდრე III გამოვიდა სასახლიდამ და ჩაჯდა თავის კარეტაში. ხალხი დაიშალა.

საღამოს 7 საათზე გამოვიდა გაზეთების დამატება.

ერთი დამნაშავეთაგანი მთავრობის ხელშია; მეორესი ვერა გაიგეს-რა. ყუმბარის აფეთქება იყო მესამის დასაწყისში და იმპერატორი მოკვდა

---

## «დროების» ფელეტონი, 12 მარტს.

### მართალია.*)

(თარგმანი)

(ვეიზოლდი ირლანდიის ახლანდელ არეულობიდგან.)

კვირა კვირაზე გადიოდა და კაცის მკვლელობის აღმოჩენაზე სრულიად არა შეგვიტყვია-რა. ორი ათასი მანეთს ჯილდოს, მთავრობისაგან დანიშნულს, დაემატა ათას-ხუთასი მანეთი, ბალლიმორელის მეპატრონეთაგან შეწირული. ხან-დის-ხან პოლიცია გვეუბნებოდა სხვა-და-სხვა სახელებს ვითომც კაცის მკვლელებათ; მაგრამ გამოძიებით კი გამოჩნდებოდა ხოლმე, რომ ეს ცნობები ტყუილი იყვნენ; ამაობაში მეც აქეთ-იქითგან მესმოდა, რომ ავაზაკები მეც მპირობდნენ გასტუმრებას.

ვიღაცა ყმაწვილმა ქალმა პეტ დონოჩიუმ სასამართლოს უჩვენა, რომ კაცის კვლის დღეს ნახა ერთი კაცი, რომელიც ჭაობზე მიდიოდა, მაგრამ ვინ იყო ის კაცი, ამის თქმა კი არ უნდოდა. სამი კვირის შემდეგ მურფებიც დაბრუნდნენ თავიანთ სახლში. სად იყვნენ ამ ხნის განმავლობაში, ეს საიდუმლოთ დარჩა.

ერთ დილაზე მე ფოშტით მივიღე შემდეგი წერილი:

„— თუ თქვენი პატიოსნება ისურვებს შემხვდეს მე საღამოს თერთმეტ „საათზე ბალინაკრეშთან, მე გეტყვით „მაშინ, თუ ვინ მოკლა ბრემი. თქვენ „უნდა მოხვიდეთ მარტო, ამიტომ „რომ მე არა მსურს პოლიციამ შეიტყოს ჩემი ვინაობა, მანამ თქვენთან „არ მოვილაპარაკებ დაპირებულ ჯილდოზედ. თუ თქვენ მარტო იქნებით, „მე დავუშტვენ.“

ამ წერილმა ძალიან დამაფიქრა. ერთის მხრით უცნობი მართალი იყო, რომ არ უნდოდა პოლიციელის შეხვედრა; და მეორეს მხრით მე რომ მაგონდებოდა ჩემი სხვისაგან გაფთხილება, ვფიქრობდი, რომ ეს წერილი მხოლოთ მარჯვეთ მოგონილი ოინი იყო, რომ ამ გზით ადვილათ გავებით მახეში. მთელ ამ მხარეზე იმისთანა გამარტოვებული ალაგი არ არის, როგორათაც ის ალაგი, სადაც მიბარებდნენ და რადგანაც ვიცოდი, რომ საზოგადოების მავნებელ პირათ მთვლიდნენ, იმისთვის არ გამიკვირდებოდა, რომ ამ საზოგადოების წევრებს ჩემი მოკვლა მოეწადინათ. მაგრამ მაინც ჩემი სვინიდისი მე ნებას არ მაძლევდა უარი მეთქვა რაიმე საშუალებაზე, რომელიც კი ახსნიდა ბრემის უეცარ სიკვდილს, და გადავწყვიტე წასვლა.

ბელინაკრეში სტანციიდგან შვიდ მილზედ მდებარეობს.

ორი კაცი გავიყოლე და წაველ; დანიშნული ადგილიდგან ერთ ვერსზე დავტოვე ჩემი მგზავრები და მარტო მიველი. ჩემ კაცებს ვუთხარი, რომ შორი ახლო მომყოლოდნენ და თუ გაიგონებდნენ სროლას, საჩქაროთ მომშველებოდნენ.

მშვენიერი ღამე იყო, მაგრამ ძრიელ კი ბნელოდა. გზას ორთავ პირზე მისდევდა დაბალი ღობე. მე სიჩქარით მივდიოდი. ხელში რევოლვერი მეჭირა და ფხიზლათ ვიყურებოდი აქეთ-იქით, გზაში დამალული ხომ არავინ არის-მეთქი. ეს გრძნობა საშინელი იყო, ამიტომ რომ ორ ღობეს შუა სრულიად მარტოკა ვიყავ და ადვილად გავხდებოდი მსხვერპლათ ტყვიისა, ღობიდგან რომ ეთავაზებინა ვისმე. მიწაზედ დავემხე და ყური დავუგდე. არავითარი ხმაურობა არ ისმოდა ღამის სიჩუმეში.

სიფთხილით ნელ-ნელა და აქეთ-იქით ცქერით მივაღწიე ჭაობის თავამდინ. აქედგან ღლისითაც არა სჩანს ადამიანის საცხოვრებელი ალაგი; დავჯექ ხევის პირს და დავიწყე ცდა და ყურის გდება. მოისმა სუსტი ხმა მწყრისა, მერე მეორე. მე ნელა დავუშტვინე და დაკვირვებით დავუწყე გზას ცქერა. ცოტა ხნის შემდეგ რაღაცა ფიგურა გამოჩნდა ღამის სიბნელეში და მომიახლოვდა. რო-

---

*) „დროება“, № 52.

მეოთხე საათზე. სხვაფრივ ყველაფერი კარგათ მიდის. უველგან მშვიდობიანობა და მყუდროებაა... ხვალამდის.

ჭოტე მესხი..

პეტერბურღი, 1 მარტს.

## ხელმწიფის მიცვალების ამბავი

მოგვყავს კიდევ რამდონიმე უფრო დაწვრილებული ამბავი იმ საშინელ შემთხვევის გამო, რომელიც 1 მარტს მოხდა პეტერბურღში.

„მოსკოვის უწყებების" პეტერბურღელი კორრესპონდენტი იწერება:

„19 თებერვალს ზოგიერთ მაღალ-ღირსებიან პირებს მოუვიდათ ხელმოუწერელი ბარათები, რომლებშიაც ვიღაც უცნობი პირები იწერებოდნენ, რომ დღეს ილლიუმინაციის დროს ისეთი ამბავი მოხდება, რომელიც მთელს ქვეყანას გააცვიფრებსო. პოლიციამ, რასაკვირველია, მიიღო საჭირო ზომები. ერთს ამ ხელმოუწერელ წიგნში სხვათა შორის იყო ნათქვამი, რომ „ხელმწიფეს მოვკლავთ, როდესაც ის, მანეჟში ჯარების დახედვის შემდეგ, სასახლეში დაბრუნდებაო.

„გრაფ ლორის-მელიქოვის თხოვნით, ხელმწიფე იმპერატორმა ორ კვირას ზედი-ზედ გადადვა ჯარების დახედვა. მაგრამ 1 მარტს კი მოისურვა წასვლა.

„ჯარების დახედვის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი თავის ძმით მიხეილ ნიკოლოზის-ძით წაბრძანდნენ ეკატერინა მიხეილის სასახლეში, სადაც საუზმე მიირთვეს. აქ ხელმწიფემ დასტოვა დ. მ. მიხეილ ნიკოლოზის-ძე და თვითონ მარტო წამობრძანდა კარეტით; თან ახლდა ექვსი ყაზახი. (ადრე ორი ყაზახი ახლდა ხოლმე, იმ დღეს კი, ლორის-მელიქოვის თხოვნით, ექვსი იახლა).

„იმ ადგილზე, სადაც ხელმწიფე მოჰკლეს, ჩვეულებრივად ძალიან ცოტა ხალხი დაიარება ხოლმე, და ხელმწიფემაც განგებ უბრძანა კუჩერს ამ ქუჩაზე გავლა, რადგან აქ იმას არავინ მოელოდა. ამიტომაც გასაკვირველია—საიდამ შეიტყეს იმათ, რომ იმ დღეს იმ ქუჩაზე გაივლიდა ხელმწიფე. იქნება იქიდგან მოისაზრეს, რომ იმ დღეს იქ ბლომად იყვნენ დაყენებულნი პოლიციელები...

„პირველი ყუმბარის სროლის შემდეგ, კუჩერი, რომელიც თითქო გრძნობდა უბედურებას, მოუბრუნდა ხელმწიფეს და მოახსენა: „—პირ-და-პირ სასახლეში წავიდეთ, ხელმწიფეო!" ესვე მოახსენა ხელმწიფეს პოლიციმეისტერმა დვორჟიცკიმაც, რომელიც უკან მოჰყვებოდა მარხილით ხელმწიფის კარეტას. მაგრამ ხელმწიფემ არ გაუგონა ამათ: „დაჭრილები მინდა ვნახოვო!" ბრძანა. ამ დროს მეორე ყუმბარის ხმა გაისმა. ხელმწიფე ნელა დაეშვა მიწაზე და დაიძახა „—მიშველეთ!" ეს იყო იმის უკანასკნელი სიტყვა."

— გაზ. „რუსკი კურიერში" იწერებიან:

„როდესაც პოლიცია მივიდა იმ სახლის გასაჩხრეკად, საიდამაც ასაფეთქი ყუმბარები გამოიტანეს, ჟანდარმის მაიორმა რეინგოლდტმა დაუწკარუნა კარებზე და მოითხოვა გაალეთო. ვიღამაც იკითხა ოთახიდამ:—„ვინა ხართო"?—„პროკურორი და პრისტავიო"! უპასუხა რეინგოლდტმა. რამდენიმე ხანს პასუხი არ ისმოდა. მეორედ დარეკეს. ამდროს ოთახიდამ გაისმა ექვსჯერ რევოლვერის ხმა. ხუთი სროლა პირ-და-პირ კარებზე იყო დამიზნებული; მაგრამ კარებს ვერ გამოატანა ტყვიამ და ვერავინ მოჰკლა; მეექვს სროლით თვითონ ოთახში მყოფ კაცმა მოიკლა თავი. ამის შემდეგ ვიღაც ახალგაზდა ქალმა გააღო კარები და უთხრა პოლიციას, რომ მეორე ოთახში ნუ შეხვალთო, რადგან იქ ასაფეთქი მასალები აწყვიაო. ზედ კარებთან ეგდო ვიღაც ახალგაზდა, კარგი შეხედულობის კაცი, რომელსაც მარცხენა თვალში ერტყა ტყვია და იქვე მომკვდარიყო.

„ხსენებული ქალი იმწამსვე დაიჭირეს, და ამ სადგომზე ყარაულები დასტოვეს იმ განზრახვით, რომ ვინც მოვიდეს, იმწამსვე დაიჭირეთო.

„დილის 11 საათზე ვიღაც კარგათ ჩაცმული ახალგაზდა კაცი მოადგა ამ სადგომის კიბეს. ის იმ წამსვე დაიჭირეს. რეინგოლდტთან მიიყვანეს, რომელსაც ჩვენების ჩამორთმევა უნდოდა; მაგრამ იმან არაფერი არა სთქვა—თუ ვინ იყო, ან ვისთან, რა განზრახვით მოვიდა ამ სადგომზე. ჟანდარმის მაიორმა უბრძანა სალდათებს, რომ იმის ტანისამოსი გაეჩხრიკად. ამ დროს იმან უეცრად ამოიღო უბიდამ რევოლვერი და სამჯერ ესროლა რეინგოლდტს. სამივეჯერ ააცილა, მაგრამ ერთი პოლიციის აფიცერი და ორი სალდათი კი დასჭრა. შემდეგ გარდაუგდო პოლიციას რევოლვერი და სთქვა: „--ახლა თქვენთვის მიჩუქებიაო!" და დანებდა.

„ჯერაც ვერ გაუტეხიათ ეს ყმაწვილი კაცი—თუ ვინ არის; მაგრამ იმის ქაღალდებიდამ კი სჩანს, რომ რევოლიუციონერების დასს ეკუთვნის. დატუსაღებული ქალი კი ებრაელის ქალი გამოდგა."

— „პეტერბურღის უწყებებში" დაბეჭდილია, რომ 3 მარტს პეტერბურღის რამდენსამე უბანში ქუჩებში აკრული იყო რევოლიუციური პროკლამაციები ხელმწიფის მოკვლის თაობაზედაო, რომელშიაც ახალ იმპერატორსაც ემუქრებიან, თუ თავისუფლება არ მიანიჭა რუსეთსაო. ამ გვარივე პროკლამაციები უკრავთ თვით უნივერსიტეტის კედლებზედაც; მაგრამ სტუდენტებს ჩამოუგლეჯიათ და დაუხევიათ.

— ამავე გაზეთში სწერენ, პატარა სადოვის ქუჩის ქვეშ გაყვანილს თხრილში იმდენი (ორ ფუთამდინ) ასაფეთქი მასალები ეწყოვო, რომ თუ მართლა აეფეთქათ, სამ ეტაჟიან ახლო-მახლო სახლებს დაანგრევდაო.

გაზ. „ახალ დროებაში" დაბეჭდილია, რომ დატუსაღებული რისაკოვი გატყდა გამოძიების დროსაო, რომ პირველი ყუმბარა იმან ესროლა ხელმწიფის მოსაკლავად; რაც შეეხება მეორე ყუმბარას, არ ვიცი—ვინ ესროლაო. იმას უნახეს რევოლვერი და ხანჯალი.

## ახალი ამბები.

ყარსიდამ იწერებიან, რომ ამ ქალაქში მისულა ღენ. გროსმანი, რომელიც ღენ. ფრანკინის მაგივრად არის დანიშნული ყარსის მაზრის ღუბერნატორად.

ზოგიერთ გაზეთებში იწერებოდნენ ამას წინათ, რომ ბათუმის ღუბერნატორს ღენ. კამაროვსაც სცვლიანო; მაგრამ ამ ბოლო დროს ამ საგანზე აღარა ისმის-რა.

* * *

თფილისის განყოფილება სახელმწიფო ბანკისა აცხადებს, რომ ამ წლის 1 აპრილიდამ ბანკში დაიწყება გამოცვლა მეორე შინავან სესხის ძველი ბილეთებისა და ამ ბილეთების პატრონებს ახალი ბილეთები მიეცემათ 15 წლითაო.

* * *

კავკასიის მთებიდამ მოვიდა ამბავი, რომ ერთი მარხილის გასავლელი გზა

---

დესაც ის სრულიად მომიახლოვდა, ავდექი.

— თქვენა ხართ უფალი მაკ-ბრეტი?—ჩურჩულით მითხრა იმან.

— დიახ, უპასუხე მე.

მერე ახლო მივიწიე, გულზე დავაბჯინე რევოლვრის ლულა და მეორე ხელით დაუწყე ჯიბე-უბის შინჯვა. მინდოდა შემეტყო დაიარაღებული ხომ არ იყო.

ის უძრავათ იდგა, თუმცა მე კი მესმოდა იმის საშინელი გულის ძგერა.

— იქით წავიდეთ, წაიჩურჩულა იმან, მე აქ დარჩენისა მეშინიან.

— კარგი, წინ წადით, მაგრამ გახსოვდეთ, რომ თუ მიღალატეთ, მაშინვე რევოლვერს გესვრით.

ის ნელა წავიდა წინ; ხანდისხან შედგებოდა და ყურს უგდებდა ხმაურებას და დაკვირვებით აშტერდებოდა სიბნელეს.

— თქვენ ვინა ხართ?—ვკითხე მე, როდესაც ჩვენ ჩავედით ძრიელ ჩავარდნილ ალაგში.

— მე გახლავართ ჯემ ბროფი, თქვენო პატიოსნებავ. მე მეგონა გესიამოვნებოდათ, რომ შეგეტყოთ, თუ ვინ მოჰკლა ბრემი.

თვალი შევაჩვიე სიბნელეს და ამიტომ კარგათ გავარჩიე იმის პირის-სახე, და უნდა ვთქვა, რომ იშვიათათ მინახავს ამასთან საძაგელი თვისების სახე.

— ვინ მოჰკლა ბრემი?

— იცით, ბატონო, ჩემთვის საჭიროა, რომ ჯერ ჯილდოზე მოგელაპარაკოთ. მომეცემა თუ არა დანიშნული ფულები, რომ გითხრათ—ვინ იყო კაცის მკვლელი?

— დიახ, მიიღებთ, თუ ფიცით მისცემთ თქვენ ჩვენებას და ნაფიცი მსაჯულები დაიჯერებენ თქვენს ჩვენებას.

— ეგ საშინელებაა. რომ გამიგონ დაბეჭლება, ხომ მაშინვე მომკლენ.

— სრულებითაც არა. თქვენ შეგიძლიანთ გადასახლდეთ ამერიკაში და შეიძინოთ ფერმა. მაგრამ მე არ შემიძლიან მთელი ღამე აქ ვიყო, სთქვი ჩქარა, რაც სათქმელი გაქვთ?

მეტი ღონე არ არის, მე ვენდობი თქვენს პატიოსნებას. ბრემი მოჰკლა მარტინ ბრიდიმ.

— მე ეგ არ მჯერა!.. უპასუხე მე.

— გეფიცებით, რომ მარტინმა მოჰკლა. იმან ბრემი ბენესსიმ თოფით მოკლა, რომელიც მურფის სახლში იყო დამალული. ჯერ მიკ მურფის თითონ უნდოდა იმის მოკვლა, მაგრამ საზოგადოება არ დათანხმდა: ეგ საქმე რიგზე უნდა მოხდესო და იმის მოკვლა ბრიდს მიანდეს.

— თქვენ ვინ გითხრათ ეგ?

— მე თითონ წევრი ვარ იმ საზოგადოებისა და ვიყავი იმ მიტინგზე, როდესაც ბრიდი დანიშნეს და იმაზედაც, რომელშიაც იმას შეგროვილი ფული მისცეს.

— როგორ მოჰკლა იმან ბრემი?

— აი როგორ: მურფებმა რამდენჯერმე გასტეხეს ღობე, რომ ენახათ, თუ როგორ გააკეთებდა ბრემი, რომელიც ძლიან რიგიანობის მოყვარე კაცი იყო; იმათ შენიშნული ჰქონდათ, რომ გატეხილ ღობეს ის მაშინვე დაუწყებდა ხოლმე კეთებას. ღამე დაანგრიეს ღობე და თითონ წავიდნენ; ამ დროს მარტინ ბრიდი მოვიდა იმათსა და როდესაც ბრემმა ღობეს კეთება დაუწყო, უკანიდგან ესროლა და მოჰკლა.

— მაშ ის მარტო იყო? თოფი რაღა უყო?

— ღმერთმანი ეგ კი არ ვიცი. იქნება გზაზედ შეინახა სადმე. საზოგადოებამ დააპირა ბრემის მოკვლა იმ დროსთვის, როდესაც დასაფლავება იქნებოდა ვისიმე; და თუ, ვინიცობაა: ბრიდის შემოეყრებოდა ვინმე ბალლიმორელის გზაზედ, იტყოდნენ, რომ დასაფლავებაზედ აყოო. როდესაც გადაიცვალა მოხუცებული ბირნი, იმის დამარხვა ცხრა საათზე დანიშნეს. მარტინმა რო თავის საქმე გაათავა, გაქანებული გაიქცა ჭაობზედ სასაფლაოსკენ და იქ მღვდელს ჯოის დაუწყო ლაპარაკი, რომ იმას გამოძიების დროს ემოწმნა, რომ იმ დროს მარტინ ბრიდი დამარხვაზე იყოო. ჰილპატრიკის გზაზედ იმან გაიხადა

გაიყვანეს, მუშები ადგანან და მალე ყველგან სრულს თავისუფლებით შეეძლება ფუჩტას სიარული.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**კახეთი**, 1 მარტს. **წ**არსულის თებერვლის უკანასკნელს რიცხვებში მომიხდა ყოფნა სოფ. ყვარელში, სადაც რამდენიმე საყურადღებო ამბავი შევიტყე. იანვარში, როდესაც თ. **ნ. ზ. ჭავჭავაძე** იყო ყვარელში, მას შეუყრია ხალხი, რომელიც კარგად დაურიგებია და შემდეგ წინადადება მიუცია მათთვის, რომ სახელოსნო სკოლა გახსენითო. ხალხს უპასუხნია, რომ, რადგანაც მოსავალი კარგა ხანია ხელს არ გვაძლევსო და ღვინოს ვერა ვყიდით, შეძლება არა გვაქვსო. ამაზედ პატივცემულს **ნ. ზ. ჭ**—ძეს უთქვამს, რომ „მე, ჩემის მხრით ყოველ-წლივ ჩემს სიცოცხლეში 500 მანეთს შევსწირავ სახელოსნო სკოლასაო და შემდეგ იმისთანა საშუალებას, წყაროს, აღმოგიჩენთო, რომ ჩემის სიკვდილის შემდეგაც მიიღოთ ხოლმე 500 მ. ყოველ-წლივაო.“

ხალხს მადლობით და სიხარულით მიუღია ეს წინადადება და ამ ჟამად ადგილს ეძებენ—სად აღაშენონ შენობა სახელოსნო და სასოფლო ორკლასიანის სასწავლებლისათვის. ყვარელში, ორ-კლასიან სასწავლებელში იანვრიდამ დაწყებულა სწავლა. როგორც ეტყობა გვარიანად მიდის აქ სწავლა. ორი მასწავლებელია აქ, უფროსი მასწავლებელი **ლ. ვ სარ**მენტოვი, რუსთაგანი, მაგრამ კარგად მცოდნე ქართულის ენისა და მისი თანაშემწე—**ნ. მესხი**. ყმაწვილები 50-მდინ არიან.

ყვირილის მილიციაზედ არაფერი ითქმის კარგი ზნეობითს მხარეზედ. მეტად გახშირებულა აქ „კეჭნაობა“ ხანჯლით. გადაჰკრავენ ყვარულსა და ერთმანერთს დაერევიან ხანჯლებით. ჩემს იქ მყოფობის დროს ერთი ფრიად მძიმედ დაჭრილი ურიადნიკი იწვა ლაზარეთში. ათიოდე ძველი მილიციონერი-ღა ამშვენებს ოდესმე განთქმულს „დრუჟინასა“...

შემოდგომაზედ და ზამთარში სახლის წვა იყო გახშირებული. რამდენსამე დაუწვეს აქ საძნე, სათივე და სხვ. ხალხს თუმცა სცოდნია ბოროტ-მომქმედნი ვინ იყვნენ, მაგრამ შიშით თურმე ვერ უცხადებდნენ ადგილობრივს პრისტავს ბ. მ. შ-ვს. ბოლოს, როდესაც ძრიელ შეწუხდნენ, პრისტავს აცნობეს ბოროტ-მომქმედთ ვინაობა მხოლოდ იმ პირობით, რომ იგინი გარდაესახლებინათ სადმე ისე, რომ თავის დღეში აღარ დაბრუნდნენ ყვარელში. პრისტავს აღუთქვამს ამ პირობის აღსრულება. ჯერ-ჯერობით საქმე შეყენებულია და შემდეგ რა იქნება-რა მოგახსენოთ...

ალაზნის ხიდისაკენ გზის შეკეთება დაიწყეს. ხიდსაც აკეთებენ და არხიტექტორიც მოვიდა. სასურველია, რომ ხიდი მალე გაკეთდეს, თორემ „შეუპოვარი“ ალაზანი ეხლავე ამღვრეულია და, მოსალოდნელია, ამ თბილს დღეებში წყალი მოიმატებს, რადგანც მთაზედ თოვლი დაიწყებს დნობასა.

პური სამი მანეთია კოდი. მოსავლის პირი მშვენიერია და უხვს გვიქადის. ღვინოები ჯერ კიდევ ბლომად არის გასასყიდი. შვინდი, ნუში, თხილი, ია და სხვა მინდვრის ყვავილები კარგა ხანია გაიშალნენ... დანარჩენი შემდეგ.

მგზავრი.

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი**. დეპუტატთა პალატაში დეპუტატს რამოს შეუტანია წინადადება, რომ გაუქმდეს ის კანონი, რომლის ძალითაც საფრანგეთში მცხოვრები სხვა-და-სხვა სარწმუნოების ხალხი ვალდებულნი არიან თავ-თავიანთი სასაფლაოები ჰქონდესთ. ამაზედ კათოლიკეთ ეპისკოპოზმა ფრეპელმა მიუგო, რომაო ამ გვარი წესის შემოღება ე. ი. სხვა-და-სხვა რჯულის ხალხთა სასაფლაოების შეერთება იქნება კათოლიკეთ ეკკლესიის უფლების დარღვევა და ნიშანი უკმაყოფილებისა და დევნისა. „კათოლიკეთათვის სასაფლაო არის ეკკლესიის გაგრძელება—ის არის ეკკლესია მიცვალებულთა. თქვენი წინადადება სარწმუნოების წინააღმდეგიაო. არც პროტესტანტები, არც ებრაელები არ არიან ამ წესის წინააღმდეგნიო. ამ გვარად მხოლოდ „თავისუფალი მოაზრენი“ სჯიანო. გასაკვირალია, ეს ბატონები როგორ არ აღშფოთდებიან, როდესაც წარმოიდგენენ, რომ ისინიც კათოლიკეთ შორის უნდა დაიმარხონ! ამ ჟამად სასაფლაოებზედ დაიწყეს სჯა და შემდეგ ზევითაც აიწევენ: ეკკლესიებსაც შეეხებიან, რომლებშიაც რიგ-რიგათ უნდა სწირონ კათოლიკეთ, პროტესტანტებმა, მასონებმა და მერმე იმათაც ხვდება—„თავისუფალ მოაზრეთ!“ რამოს მიუგია, რომ ჩემი წინადადება, სრულიადაც არ არის წინააღმდეგი კათოლიკეთ ეკკლესიისაო. თუმცა ეს ეკკლესია თავიაო დანარჩენ საფრანგეთის ეკკლესიებისა, მაგრამ ამ უკანასკნელთაც უნდა მიენიჭოს რამე უფლებაო, და პირველის-და-გვარად ესენიც უნდა იყვნენ მართებლობის მფარველობის ქვეშ. ბოლოს რამოს დაუმატებია რამდენიმე მაგალითი, რომლებიდამაც სჩანს, რომ, არა თუ სულ განაპირს პროვინციაში, პარიჟის მახლობელ ქალაქებშიაც არ დაუსაფლავებიათ ხშირად პროტესტანტები საერთო სასაფლაოში. ეს წინადადება მიღებულ იქმნა 222 ხმის უმეტესობით 474 ხმაში.

—

**რუმინია**. რუმინია ადრე სათავადო, ამ ჟამად საკოროლოდ იქცა. ამ საგანზე ერთმა დეპუტატმა შეიტანა პალატაში წინადადება: დაეკითხა თუ არა რუმინიის მმართებლობა ევროპის სახელმწიფოებს, როდესაც ამ გვარ ცვლილებას ახდენდა თავის სამმართველოში? ამაზედ პირველმა მინისტრმა მიუგო, რომ რუმინია თავისუფალი მმართებლობაა და სრული უფლება აქვსო, თავის მეფეს უნდა კოროლს დაუძახებს და უნდა იმპერატორსო.

# განცხადებანი

—

თფილისის ქალაქის

# გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქუჩების და მოედნების დაგვა და გასუფთავება ამ წლის განმავალობაში იქნება ამ წესით:

**კვირაში სამჯერ**

1 კატეგორიისა.

1. გოლოვინის პროსპექტი—გაუპავახტიდამ ფოჩტის სტანციამდი.
2. ნიკოლაევის მოედანი სასახლის, წინ,
3. სასახლის ქუჩა,
4. ერევნის მოედანი,
5. ბარათინსკის ქუჩა,
6. სოლოლაკის ქუჩა,

---

წალები და ცეცხლზე დასწვა, რომ ფეხის კვალზე არ ეკნოთ, და სხვა წალები ჩაიცვა.

— განა იმან გიამბოთ ეგეები?

— დიახ, მიამბო. იმან მეც და მიკტრესისაც გვითხრა ეს ამბავი ჯონ ბენესსის სახლში, სადაც საზოგადოების კრება იყო.

— როგორ, განა ბენესსიც იმ საზოგადოების წევრია?

— მაშ! ის პირველი მოთავეა ამ მხარეზე.

— რისთვის გიამბოთ ბრედიმ ყველა ეგ ამბავი?

— რატო არ უნდა ეამბნო? ჩვენ სუყველამ ვიცოდით და მაგისათვის ფულებიც მივეცით. ბარდა ამისი მე თითონ მოვახერხე ყოველისფერი ტაპსეის მოსაკვლელათ და მოვკლავდით კიდეც, რომ ბოლოს დიულის არ შეშინებოდა და იმით არ წაეხდინა საქმე. მე მოწამლული სასროლიც გამზადებული მქონდა.

ჩემ სიცოცხლეში ფიქრათ არ გამივლია კაცის კვლა, მაგრამ როდესაც მესმოდა ამის გულ-გრილათ ლაპარაკი თ-ვის საძაგელ მოქმედებებზე, საშინლათ მომინდა აქვე მომეკლა ეს უნამუსო ქმნილება. მაგრამ მე თავი შევიკავე და ვკითხე:

— როგორ სწამლავთ სასროლს?

— ამისთვის ეხმარობ დარიშხანას, რომელსაც ტყვიაში ვახვევ; ამ სროლით კაცი უთუოთ კვდება ათ დღემდინ. მე მოვამზადე ის სასროლიც, რომლითაც მოჰკლეს ივენსი. ის მოჰკლა ჯემს პარნეიმ და გაიქცა ამერიკაში. ეხლა ის დაბრუნდა და რადგან იმას და იმის მებატონე მუნს უსიამოვნობა აქვთ ერთმანეთში, უთუოთ იმასაც მოჰკლავს. მართლა, მე გავიგონე, რომ თქვენ კეთილშობილებასაც უპირობენ მოკვლას.

— მართლა? მაგითი იმათ არა შეემატებათ-რა! იქნება იცოდეთ, ვინ უნდა მომკლას მე?

— არ ვიცი. ეგ ჯერ გადაწყვეტილი არ არის, უთუოთ ან ბრედი იქნება, ან პარნეი, ან იქნება მურფებიდგან რომელიმე. ვისაც დანიშნენ, მოვალეა დაემორჩილოს ბძანებას.

სუყველაფერი ესეები იმან წარმოსთქვა სრულის გულ-გრილობით. მხოლოთ ხანდახან აქეთ-იქით იყურებოდა და რაღასაც ყურს უგდებდა.

— მურფები სად იყვნენ დამალულნი?

— ერთის მილის სიახლოვეს აქედგან. ისინი დაიმალნენ პატრი რაიანის სათივეში და პოლიციას, რასაკვირველია, თავში არ მოსვლია მღვდლის სახლის გაშინჯვა.

— როგორ, განა თითონ რაიანმაც იცოდა იმათ იქ ყოფნა?

— ოჰ, არა, იმან კი არა, იმისმა მოსამსახურემ, რომელიც ბიძა-შვილია ერთი მურფების მეგობრისა; იმან დამალა კიდეც და ყოველ დღე საზდოსაც ის უზიდავდა.

— კარგი. თქვენ უნდა მოხვიდეთ ჩემთან ხვალ საღამოს ათ საათზე და ერთ რომელიმე მოსამართლესთან გაიმეოროთ ფიცით თქვენი ჩვენება.

— რას ბძანებთ მე ეგ არ შემიძლიან!

— თუ თქვენ მაგას არა იქთ, მაშინ უბძანებ დაიჭირონ ბრედი, გამოვუცხადებ ყველაფერს სასამართლოს, რაც თქვენ მითხარით და დაგიბარებთ. მე მგონი კარგი საქმე არ დაგემართებათ, როდესაც თქვენი საზოგადოება შეიტყობს თქვენ კარგ-კაცობას.

— ეგ როგორ შეიძლება? მე მოვენდე თქვენ პატიოსნებას და თქვენ მაგას რას მიშვრებით!

— მე ხომ არ დამიძახნიხართ აქ. თუ არ თქვენი ჩვენება, თქვენ ჩემთვის სრულიად საჭირო არა ხართ. ეს ჩვენება თქვენ უნდა უჩვენოთ სასამართლოს, და თქვენის თავისა ფიქრი ნუ გაქვსთ, თქვენზე თვალს დაიჭერს პოლიცია.

— კარგი, ბატონო მაშ ერთი თუმანი მაინც მომეცით ეხლა დედა ჩემისთვის.

მივეცი ფული და მოვაგონე, რომ ხვალლამ უთუოთ მოვიდეს და წავედი.

(გაგრძელება)

7. რუსის ბაზარი (იარმუკა),
8. ძველი ფოჩტის ქუჩა,
9. მადათოვი,
10. სომხის (შუა) ბაზარი,
11. სირაჯების რიგი,
12. თათრის (პურის) მეიდანი,
13. მერკინების ქუჩა,
14. მეჩითის ყრუ-ქუჩა,
15. მიხაილოვის (კუკის) ხიდი და
16. მიხაილოვის ქუჩა.

### კვირაში ორჯერ

2 კატეგორიისა.

1. ერმალაევის ქუჩა,
2. სერგიევის,
3. დავიდოვის მირზოვის სახლამდინ,
4. კრუზენშტერნის,
5. ჭავჭავაძის,
6. კომენდანტის,
7. არსენალის,
8. ლაბორატორნის,
9. ატამანის,
10 ბაზრის,
11. კუზნეცკის,
12. მუხრანსკის,
13. ვოდოვოზნი, ვანქის დაღმართი,
14. ნიკოლაევის მაიდანი (ჩუღურეთი),
15. დესიმონოვის გადასახვევებით,
16. პსკოვის,
17. პესკოვსკის აღმართი,
18. სირაჯხანა და მეღვინეების აღმართი,
19. კახეთის მაიდანი,
20. ნაგორნის ქუჩა,
21. კონსულის,
22. ნოვო-ბებუთოვის,
23. რეტიშჩევის,
24. ინსტიტუტის,
25. ბანოვის,
26. ველიმინოვის,
27. დიდი ვოდოვოზნის,
28. გეორგიევის,
29. გიმნაზიის,
30. ავლაბრის ხიდები,
31. რაზენოვის,
32. მოსტოვაია,
33. ხამანის მაიდანი,

### კვირაში ერთხელ

3 კატეგორიისა.

1. საპიორნის ქუჩა,
2. კანიუშნის,
3. გუდოვიჩის,
4. ფრეილინის,
5. სოლოლაკის,
6. მერკინეების რიგი,
7. სომხის ქუჩა,
8. პუსტაია,
9. დოქტორის ქუჩა,
10. სემინარიის,
11. ძველი გიმნაზიის ქუჩა,
12. კოჯორის,
13. სადოვაია,
14. ამალღების (ვოზნესენის),
15. პატარა სადოვაია ანუ ბასტამოვის,
16. საპიორნის ქუჩა,
17. არტილერიის,
18. ინჟინერის,
19. ოქრომჭედლების ქუჩა,
20. პატარა ბაზაზხანა,
21. მექუდეების რიგი,
22. ვორონცოვის ნაბერეჟნი,
23. ელისავეტინის,
24. ტროიცკის ვიწრო ქუჩა,
25. ფრანგების ქუჩა,
26. ნახშირის მაიდანი,
27. პურის მაიდანი,
28. აბანოს,
29. ვორონცოვის,
30. დიდი ბრუნდე ქუჩა,
31. კვირაცხოვლის,
32. ალექსანდროვის,
33. ტროიცკის,
34. ბარონის,
35. გრაფის,
36. ორბელიანის 1-ლი,
37. ორბელიანის 2-რე,
38. სიმონსონოვის,
39. ბანკის ვიწრო ქუჩა,
40. ვანქის ქუჩა,
41. ვანქის ვიწრო ქუჩა 1-ლი,
42. ვანქის ვიწრო ქუჩა 2-რე,
43. ტალახის,
44. პატარა ტალახის,
45. პოლიციის ქუჩა,
46. ფომინის,
47. სუფნიშნის,
48. ოგშჩესტვენის,
49. ბაგრატიონოვის,
50. ანჩისხატის,
51. მგზარხოსის მაიდანი,
52. სიონის ქუჩა,
53. ნემეცების,
54. პრიკაზის,
55. აქიმოვის,
56. მეშჩანის,
57. დელორიანის,
58. ნორაშნის,
59. ხარაზების რიგი,
60. გეორგიევის მაიდანი,
61. აბას-აბადის მაიდანი,
62. მოლლინის ვიწრო ქუჩა,
63. ბებუთოვის ქუჩა,
64. იერუსალიმის,
65. ტაფოქნის,
66. კოლონისტის,
67. როტის და აფთიაქის,
68. კიროჩნის,
69. ნიკოლაევის,
70. ალექსანდროვის,
71. ნემეცის,
72. ფედოროვის,
73. კაჩუბეევის,
74. სემიონოვის,
75. ალექსეევის,
76. გეიდენის,
77. ბალოჩნის,
78. ეკკლესიის,
99. ახალი—ფრანგების ქუჩა,
80. მოლოკანის,
81. მოლოკანის მაიდანი,
82. პანასევჩიის ქუჩა,
83. სუპ-კარაპეტის აღმართი,
84. დიდ-ხევის დაღმართი,
85. ავჭალის ქუჩა,
86. რეუტოვის,
87. ანდრეევსკის,

### ორ კვირაში ერთხელ

4 კატეგორიისა

1. სალდათის ქუჩა,
2. მთაწმინდის 1-ლი,
3. მთაწმინდის 2-რე,
4. კოჯორის ვიწრო ქუჩა,
5. დავიდოვის მირზოევის სახლიდამ მაიდნამდინ,
6. 1-ლი ნაგორნის ქუჩა,
7. 2-რე ნაგორნის,
8. 3-მე ნაგორნის,
9. ოვრაჟის,
10 1-ლი პარალელნი,
11. 2-რე პარალელნი,
12. კალიუჩია ბალკა,
13. მირსკოვის ბალკა,
14. ცხნეტის ქუჩა,
15. პატარა ვოდოვოზნის ვიწრო ქუჩა,
16. ტირილოვის ვიწრო ქუჩა,
17. სალდათის ვიწრო ქუჩა,
18. ქუჩები, რომელიც ვანქის, ვიწრო ქუჩიდამ პოპკოვის წისქვილამდინ,
19. ორბელიანოვის ვიწრო ქუჩა,
20. სატნოვის ქუჩა.
21. 5-თე ნაგორნის ვიწრო ქუჩა, ავრაჟის ქუჩასთან,
22. ბრუნდე ნაგორნის ლაბორატორნი ქუჩიდამ არშაკუნის ბაღამდინ,
23. პოლიციის ვიწრო ქუჩა,
24. ვიწრო ქუჩა შუაბაზართან,
25. ფრანგების ვიწრო ქუჩა,
26. ვიწრო ქუჩა, რომელიც დიდი ბრუნდე ქუჩიდამ პატარა ბაზაზხანამდის.
27. სალებავის ქუჩა.
18. თათრების აღმართი ქუჩა,
29. ბოტანიკის ბაღის ქუჩა,
30. ძველი ციხის ვიწრო ქუჩა,
31. პატარა პოლიციის ვიწრო ქუჩა,
32. ფეთხაინის ქუჩა,
33. პატარა ფეთხაინის,
34. ფეთხაინის ვიწრო ქუჩები,
35. ბებუთოვის ვიწრო ქუჩა,
36. ვორონცოვის ვიწრო ქუჩა,
37. ერივნის ქუჩა ყაზახების ხიდიდამ,
38. ახალი არსენალის ქუჩა.
39. ვოდოპოდიომნის,
40. მეტეხის აღმართი,
41. ლაზარევის ქუჩა,
42. კახეთის ქუჩა ნავთლუღის მაიდნამდინ,
43. მაღალი სადოვაია,
44. დაბალი სადოვაია,
45. 1-ლი მალაკნების ვიწრო ქუჩა,
46. 2-რე მალაკნების ვიწრო ქუჩა,
47. მესხიევის ვიწრო ქუჩა.

ნაგავი და ტალახის გასატანათ რომელიც მოიკრიფება ქუჩაში უნდა დაიჭირონ პოლოსკები და იმავე დღეს გადატანილი იყოს ქუჩებიდამ: თუ რამე უწესოება იქნება, ქალაქის გამგეობა სთხოვს ყველა მცხოვრებლებს შეატყობინოთ წერილით ანუ სიტყვით. (3—3)


### დასუიდვა ფასებით:

საზამთრო პალტოები 12 მანეთიდამ; ტუფაიკები 2 მან. 50 კ.; ქუდები 1 მანეთიდამ., ვოდნოსები 5 კაპეიკიდამ; თეფშები 12 კაპ. თითო; ინდუსის ბრინჯი 10 კ გირვ.; ინგლისური კამფეტები 40 კაპეიკიდამ, და ჩაი, რომელიცა ყველგან 2 მ. 50 კ. ღირს, ისყიდება 1 მან. 80 კ.

**ინგლისის მაღაზიაში**, არწრუნის გალერეაში. (20—7).

### ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა კიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების, და სხვ... (100—47)

ინგლისის მაღაზიაში

თმის აღმ-ყვანი



მაკ-ასა-ზეთი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ. (150—41)

ისყიდება ყოველ-გვარი **თუჯისა და სპილენძის ნივთები გადასადნობად** — წმ. გიორგის ეკკლესიასთან, მდივანის სახლებში, კახურ ღვინის სარდაფში. (25—25)

**ინგლისის მაღაზიაში** ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. ყველა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვირემც სხვაგან. (20—17)

**დუშეთის ნატარიუსი ი. ი. ნატროევი** აცხადებს, რომ მუშაობა ექმნება თავის კანტორაში, ქ. დუშეთში, ყოველ დღე, დილის რვა საათიდგან ორ საათამდის შუადღის შემდეგ:

აქვე შეუძლიანთ მსურველთ მიიღონ დარიგება და შეადგენინონ ყოველ გვარი არზები სადაო საქმეებსა ზედა, ღარიბთათვის უფასოთ. (3—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ 11 Мартъ 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ივ. ჯაჯანაშვილი და ს. მესხი.